სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

21142792771314

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140456252

რეგისტრაციის თარიღი

07.05.2014 წ

ნოტარიუსი: ნუნუ გინტური
მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. #47
ტელეფონი: 2935425

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათასთოთხმეტი წლის შვიდ მაისს, მე ნოტარიუსს **ნ. გინტურს**, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №47-ში, მომმართა **შპს "ჯორჯექსი"-ს (რეგისტრირებული: 04.06.1996 წელს, საიდენტიფიკაციო №203838124, იურიდიული მის: საქართველო, ქველი თბილისის რაიონში, რუსთაველის გამზ. 37)** დირექტორმა **ნანა ონიქაშვილმა**, რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა **გიორგი ქვინინაშვილის** მიმართ და მოითხოვა ამ მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ნანა ონიქაშვილმა** (დაბ. 03.07.1963 წ. თბილისში, მის: ქ. თბილისი, დიღმის მას. IV კვ. კორ. 2, ბინა 19, პირადი №01006005807, პ/მ №ბ 1437243, გაც. 17.05.2011 წელს სრს ძველი თბილისის სამსახურის მიერ) მომმართა. მე შევამოწმე **ნანა ონიქაშვილის** უფლებამოსილება, იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს **შპს "ჯორჯექსი"**, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, **განაცხადის ნომერი: 628596, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13061787, ამონაწერის მომზადების თარიღი: 20.06.2013 წელი 11:52:10**. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათასთოთხმეტი წლის შვიდი მაისი. **შპს "ჯორჯექსი"-ს (რეგისტრირებული: 04.06.1996 წელს, საიდენტიფიკაციო №203838124, იურიდიული მის: საქართველო, ქველი თბილისის რაიონში, რუსთაველის გამზ. 37)** დირექტორმა **ნანა ონიქაშვილმა** (დაბ. 03.07.1963 წ. თბილისში, მის: ქ. თბილისი, დიღმის მას. IV კვ. კორ. 2, ბინა 19, პირადი №01006005807, პ/მ №ბ 1437243, გაც. 17.05.2011 წელს სრს ძველი თბილისის სამსახურის მიერ), რომელიც შემდეგში მოხსენიებულია როგორც „მიმნდობი", **გიორგი ქვინინაშვილს** (დაბ. 25.08.1955 წელს ჩოხატაურში, პირადი №01006005364), რომელიც შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „მინდობილი პირი", საზოგადოების სახელით, წესდებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: "მინდობილი პირი" უფლებამოსილია უძრავი ქონების, მდებარე – **ქალაქი თბილისი, ყიფშიძის ქუჩაზე არსებული ავტოსადგომის მიმდებარედ, კომერციული ფართი №2, სადარბაზო 1, სართული 1 (საკადასტრო კოდი №01.14.14.002.076.01.01.500), მშენებლობასთან დაკავშირებით** წარმოადგინოს და დაიცვას საზოგადოების ინტერესები **ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში**, შეათანხმოს პროექტი და მიიღოს მშენებლობის ნებართვა, მიიღოს და წარადგინოს დოკუმენტები. ასევე უძრავი ქონების დარეგისტრირებასთან დაკავშირებით წარმოადგინოს და დაიცვას საზოგადოების ინტერესები **სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში**. მიიღოს და წარადგინოს დოკუმენტები, მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის პროცედურა, რაც დაკავშირებულია აღნიშნული მოქმედებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ვადით და ძალაშია ორიათასთხუთმეტი (2015) წლის შვიდი (07) მაისის ჩათვლით.

წინამდებარე მინდობილობა „მიმნდობს" ხმამაღლა წაუკითხა ნოტარიუსმა. „მიმნდობმა" მოიწონა წინამდებარე მინდობილობა და მას ხელი მოაწერა პირადად და ნოტარიუსის თანდასწრებით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნ. გინტურის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

მიმნდობმა გადაიხადა ნოტარიუსის საზღაური: ათი (10) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება №507 (2011 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი) სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურეობის ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ: ერთი (1) ლარი და ოთხმოცი (80) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, ორი (2) ლარი (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა, სულ გადახდილია: ცამეტი (13) ლარი და ოთხმოცი (80) თეთრი.

მიმნდობი: _____

ნოტარიუსი: _____ / ნ. გინტური /